

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტოს 2026 წლის 22 მაისის N 21/7242 წერილით წარმოდგენილ შენიშვნებზე რეაგირების ცხრილი:

სააგენტოს შენიშვნა:	განმარტება/რეაგირება:
<p>გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ობიექტის საწარმოო მიზნებისთვის, მათ შორის სამსხვრევ-დამახარისხებელ ტექნოლოგიურ ხაზის დანამვის მიზნით წყლის აღება ხორციელდება საწარმოდან 400¹ მეტრის დაცილებით მდებარე ტბორიდან (ს/კ: 81.07.08.493, ტბორი წარმოდგენილია სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე), რომელიც თავის მხრივ მარაგდება უსახელო დელედან. დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს წყალაღების შესახებ ინფორმაცია, კერძოდ, ტბორის მესაკუთრესთან შეთანხმების საკითხი, ასევე ინფორმაცია წყალაღების (მათ შორის GPS კოორდინატები) და საწარმომდე წყლის მიწოდების ტექნიკური საშუალებების შესახებ, (შესაბამისი Shp ფაილებით);</p>	<p>წყალაღების საკითხი არსებული გზმ-ის ანგარიშით და შესაბამისი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით არის რეგულირებული. აღნიშნულის შესაბამისად ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გზმ-ის ანგარიშში განმარტებულია რომ წყალაღება განხორციელდება საბაზისო გზმ-ის ანგარიშით განსაზღვრული წყლის ობიექტიდან. წყალაღების GPS კოორდინატები მითითებულია როგორც საბაზისო გზმ-ის ანგარიშში ისე ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გზმ-ის ანგარიშში (იხ. გვ 53). წყალაღების საკითხი არ იცვლება, გარდა აღებული წყლის ოდენობისა რაც ახალ, ექსპლუატაციის პირობის ცვლილების, გზმ-ის ანგარიშში დაკონკრეტებულია 53-ე გვერდზე. ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გზმ-ის ანგარიშის შესაბამისად, წლის განმავლობაში მოხამრებული წყლის მიახლოებითი ჯამური მოცულობა, ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გათვალისწინებით, შეადგენს დაახლოებით 6 000 მ³-ს.</p> <p>რაც შეეხება ტბორის მესაკუთრესთან შეთანხმების საკითხს, მოგახსენებთ რომ მითითებული ტბორი ბუნებრივად არის დაგუბებული და არ წარმოადგენს კერძო საკუთრებას.</p> <p>საწარმომდე წყლის მიწოდება ხორციელდება 200 მმ დიამეტრის მილით რომელი გაყვანილია 2017-2018 წელს. მოთხოვნის შესაბამისად, ელექტრონულად (Shp ფაილების) სახით წარმოგიდგენთ წყალაღების ადგილის წერტილს და მილის განთავსების ადგილის ნახაზს².</p>
<p>ატმოსფერულ ჰაერში ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის მავნე ნივთიერებათა წყაროების დაანგარიშების ნაწილში, გ-11 წყაროს (ასფალტის საწარმოს მიმდებ ბუნკერებში ჩაყრა),</p>	<p>შენიშვნის შესაბამისად განახლდა ზდგ-ის ნორმების პროექტი. დაშვებულ იქნა ტექნიკური ხარვეზი 187200 ტ/წ ნაცვლად უნდა იყოს</p>

¹ შენიშვნა: 400 მეტრი წარმოდგენს პირდაპირ მანძილს.

² შენიშვნა: წყალმომარაგების მილსადენი კვეთს საწარმოს ტერიტორიაზე არსებულ სერვიტუტს. როგორც უკვე განიმარტა წყალმომარაგების მილსადენი გაყვანილი იქნა 2017-2018 წლებში, ხოლო განსაზღვრული ზონა სერვიტუტით დაიტვირთა 2023 წელს (წყარო: maps.gov.ge).

<p>ინერტული მასალების, აღდგენილი მასალების და ე.წ. ნაფრეზის ასფალტის ქარხნის ბუნკერებში ჩაყრისას დაანგარიშება შესრულებულია 39500 ტ/წელ რაოდენობის შესაბამისად, ხოლო ამავე ნაწილში მითითებულია წლიური რაოდენობა 187200 ტონა. აღნიშნულიდან გამომდინარე საკითხი საჭიროებს ზდგ-ის ნორმების პროექტში დაზუსტებას/კორექტირებას;</p>	<p>39500 ტ/წ, რომლის გამოყენებითაც განხორციელდა წლიური საშუალო გაფრქვევის მაჩვენებლის ანგარიში.</p>
<p>ატმოსფერულ ჰაერში ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში ფილერის (მინერალური ფხვნილის) სილოსიდან (გ-2) მაგნე ნივთიერებათა გაფრქვევის მაჩვენებლების საანგარიშო კოეფიციენტი (0.08) საჭიროებს დასაზუსტებას/დაზუსტებას და შესაბამისად მეთოდური სახელმძღვანელოს მითითებას;</p>	<p>შენიშვნის შესაბამისად განახლდა ზდგ-ის ნორმების პროექტი. ემისიის ანგარიში განხორციელებული იყო [6]-ის 87-ე დანართში მოცემული ხვედრითი გაფრქვევის კოეფიციენტის - 0,8 კგ/ტ -ზე გათვალისწინებით (ტექსტში მოცემული 0,08 კგ/ტ წარმოადგენდა ბეჭდურ ხარვეზს), იმ პირობებისთვის, რომ სილოსი არ იქნებოდა აღჭურვილი მტვერდამჭერით, ხოლო გადატვირთვა განხორციელდებოდა თითქმის ჰერმეტიკულად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კომპანიის გადაწყვეტილებით, მინერალური ფხვნილის აღნიშნული სილოსი აღიჭურვება სახელოიანი ფილტრით, რომლის მტვერდაჭერის ხარისხი შეადგენს სულ მცირე, 95 %-ს. აღნიშნულიდან გამომდინარე და საწარმოში გამოყენებული ფილერის ბუნების (ძირითადად, დაფქვილი კირქვა) გათვალისწინებით, ემისიების ანგარიშში გათვალისწინებულ იქნა ხვედრითი გაფრქვევის კოეფიციენტი - 3,45 კგ/ტ [6]-ის 86-ე დანართის შესაბამისად.</p>
<p>საჭიროა წარმოდგენილი იყოს განახლებული გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, სადაც ასევე დამატებით იქნება გათვალისწინებული ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მონიტორინგის საკითხები, საწარმოდან 300მ მანძილზე მდებარე უახლოესი საცხოვრებელი სახლის საზღვარზე და გაფრქვევის წყაროს ასფალტშემრევის (გ-1) მილზე;</p>	<p>გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა განახლდა სააგენტოს მითითების შესაბამისად. იხილეთ დანართი N1.</p>
<p>ანგარიშის თანახმად, სამსხვრევ-დამახარისხებელი ტექნოლოგიური ხაზის ფუნქციონირების პროცესში ატმოსფერული ჰარის მტვრით დაბინძურების პრევენციის მიზნით ტექნოლოგიური ერთეულები აღჭურვილი იქნება წყლის დანამვის სისტემით (ე.წ</p>	<p>სამსხვრევ-დამახარისხებელი ტექნოლოგიური ერთეულებზე (ბუნკერი; ყბებიანი სამსხვრევი; საცერ-დამახარისხებელი; როტორული სამსხვრევი) დამონტაჟდება დანამვის სისტემა (ე.წ სპრინკლერები). აღნიშნული საკითხი გზმ-ის ანგარიშში არ იყო</p>

<p>სპრინკლერებით), დაზუსტებას და დეტალურად განხილვას საჭიროებს აღნიშნული სპრინკლერების მოწყობის საკითხი კონკრეტული ტექნოლოგიური უბნებზე, კერძოდ, ნედლეულის ან/და შუალედური პროდუქტის მსხვრევის, გაცრა/დახარისხებისას, ასევე ნედლეულის ან/და შუალედური პროდუქტის სამსხვრევი დანადგარის მიმდებ ბუნკერში ჩაყრამდე. იმ შემთხვევაში თუ ყველა უბანი არ იქნება აღჭურვილი ზემოაღნიშნული წყლის დანამვის სისტემით, წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია აღნიშნული უბნების/ოპერაციების ინკაფსულირების ან/და წარმოქმნილი მტვრის აირმტვერდამჭერი მოწყობილობის (რაც დოკუმენტით არ არის გათვალისწინებული) საშუალებით შეკრება/დაჭერის შესახებ;</p>	<p>დაკონკრეტებული და ზოგადად ეწერა: „ტენოლოგიური ერთეულები აღჭურვილი იქნება წყლის დანამვის სისტემით (ე.წ სპრინკლერებით)“.</p> <p>ზემოაღნიშნულის შესაბამისად ყველა ტექ-უბანი აღჭურვილი იქნება წყლის დანამვის სისტემით და ინკაფსულირების საჭიროება არ არსებობს (შენიშვნა: პერმანენტული ინსტრუმენტალური მონიტორინგის შედეგების შესაბამისად ინკაფსულირების საკითხი შესაძლია გადაიხედოს სააგენტოსთან შეთანხმების შესაბამისად). დამატებით წარმოგიდგენთ სამსხვრე-დამახარისხებელი ტექნოლოგიური ერთეულებზე წყლის დანამვის სისტემის (ე.წ სპრინკლერების) განთავსების საილუსტრაციო მაგალითს - იხ. დანართი N2.</p>
<p>საჭიროა წარმოდგენილი იყოს ინფორმაცია ღიად დასაწყობებული ნედლეულის ამტვერების მაქსიმალურად შემცირების ღონისძიებების შესახებ, მათ შორის დასაწყობებული გროვების დაფარვა-ეკრანირების, დამცავი ზოლებით/კედლებით შემოღობვის ან ქარისგან დამცავი ხელოვნური და ბუნებრივი ბარიერებით შემოზღუდვის უზრუნველყოფის საკითხები;</p>	<p>ნედლეულის ღიად დასაწყობება არ არის გათვალისწინებული. სასაწყობო სივრცეს როგორც ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გზმ-ის ანგარიშშია ეს განმარტებული წარმოდგენს ანგარის ტიპის გადახურულ სივრცე, რომელიც ზემოდან გადახურულია, ხოლო გვერდები ნაწილობრივ შემოსაზღვრულია. ანგარის ტიპის ნაგებობა წარმოგენს სხვადასხვა ფიზიკური ფაქტორებისგან, მათ შორის ქარისგან დამცავ ხელოვნურ ბარიერს.</p> <p>დამატებით, N3 დანართის სახით, წარმოგიდგენთ საპროექტო ანგარის ნაგებობის ილუსტრაციას (მაგალითი).</p>
<p>გზმ-ის ანგარიშის თანახმად, სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები გროვდება საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილ ამოსაწმენდ ორმოში, დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნული ჩამდინარე წყლების რაოდენობა და ამოსაწმენდი ორმოს პარამეტრები.</p>	<p>სამეურნეო-ფეკალური წყლების მართვის ნაწილში არაფერი არ იცვლება საბაზისო გზმ-ის ანგარიშისგან განსახვავებით. ახალ საწარმოო ტექნოლოგიურ ერთეულებს მოემსახურება არსებული მუშა პერსონალი, აქედან გამომდინარე მუშაო პერსონალის და შესაბამისად სამეურნეო-ფეკალური წყლის რაოდენობის ზრდა-ცვლილება მოსალოდნელი არ არის. რაც შეეხება ამოსაწმენდ ორმოს, აღნიშნული ორმოს პარამეტრები არც საბაზისო გზმ-ის ანგარიშში არ იყო დაკონკრეტებული, თუმცა სააგენტოს მოთხოვნის შესაბამისად ვაზუსტებთ - ამოსაწმენდი ორმოს პარამეტრებია (სიგრძე x სიგანე x სიღრმე = მოცულობა): 1.0 მ × 1.0 მ × 2.0 მ = 2 მ³</p>